ოქმი:**ო02. 3724145001**

თარიღი:**24/05/2024**

ოქმი № 7

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2024 წელი, 21 მაისი

ქ.ოზურგეთი

12.00-12.30 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: დ. ჭაკნელიძე, ნ. ჭანიშვილი, დ. მდინარაძე, ალ. ღლონტი, ვლ. ხავთასი, ტ. არუშიძე, გ. სირაძე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ. დარჩია და საკრეულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. ბიგვავა.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი,რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უპატრონო და მიუსაფარი ძაღლების შესახებ.

მომხსენებელი: ბექა თოიძე

თანამომხსენებელი : ირაკლი გაბედავა

2. ქალაქ ოზურგეთისტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირებაში არსებული მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელი: ბექა თოიძე

თანამომხსენებელი : ბიძინა გობრონიძე

სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს მოკლედ მოახსენა დღის წესრიგის პირველ საკითხზე, ვრცლად კი ისაუბრა თანამომხსენებელმა ი. გაბედავამ, რომელმაც აღნიშნა, რომ მონიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიუსაფარი ცხოველების, განსაკუთრებით ძაღლების რაოდენობის ზრდა სერიოზული პრობლემაა, მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახური მნიშვნელოვან მუშაობას ეწვა მდგომარეობის გამოსწორებისათვის, მაგრამ ერთი მხრივ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები და, მეორე მხრივ დაფინანსების სიმცირე განაპირობებენ პრობლემის გადაჭრაში წარუმატებლობას. არსებული დაფინანსება 50 ათასი ლარი უზრუნველყოფს 400-მდე ცხოველის კასტრაცია-სტერილიზაცის, რაც ამჟამად ძირითადი საშუალებაა მიუსაფარი ცხოველების შემცირებისათვის.

მომსახურებაზე ხელშეკრულება გაფორმებულია დასავლეთ საქართველოში არსებულ ერთადერთ, სოფელ ბალეთის ტერიტორიაზე არსებულ მიუსაფარი ცხოველების კერძო თავშესაფართან, მიმდინარე წლის იანვარ- აპრილში აყვანილი და სტერილიზაცია-კასტრირებული, დაჩიპული და ჩვეულ გარემოში დაბრუნებული იქნა 61 მიუსაფარი ცხოველი. ინფორმაციის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ კომისიას აინტერესებს კონკრეტულად რა ღონისძიებები ტარდება იმ ლოკაციებზე მდგომარეობის გამოსასწორებლად, სადაც ცხოველების განსაკუთრებით დიდი რაოდენობაა. საკრებულოს თავმჯდომარემ დ. დარჩიამ განაცხადა, რომ მდგომარეობას გამოასწორებს კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა და მოსახლეობაში ცხოველების აღრიცხვა-რეგისტრაცია. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება, რომ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანამდე, არსებული მდგომარეობის მნიშვნელოვნად გასაუმჯობესებლად, აუცილებელია მიუსაფარი ცხოველების მოვლა-პატრონობისათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნეს 160 ათასი ლარი, რის შესახებაც ეცნობება მუნიციპალიტეტის მერიას. კომისიამ ინფორმაცია მიიღო ცნობად.

სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგის მეორე საკითხი, ვრცლად კი მასზე ინფორმაცია გააკეთა თანამომხსენებელმა ბ. გობრონიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ქალაქ ოზურგეთის ტერიტორიაზე ავტონანქანების პარკირების პრობლემა წლებია არსებობს, მუნიციპალური სატრანსპორტო კომპანია ეძებს გზებს მისი გადაჭრისათვის, დაგეგმილია პარკირების ელექტრონულ სისტემაზე გადასვლა, მუნიციპალიტეტის მერიამ უნდა შეისყიდოს შესაბამისი პროგრამა და ვებგვერდი, პარკირების პრობლემაზე ჩატარდა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად მოსახლეობის გამოკითხვა და გაკეთდა დასკვნა, რომ მდგომარეობის გაუმჯობესების ერთ-ერთი გზაა ანაზღაურების საათობრივ-წუთობრივ სისტემაზე გადასვლა, ამასთან პარკირების საფასური ერთგვარი უნდა იყოს როგორც კერძო ასევე მუნიციპალურ სადგომებზე. დაგეგმილია საბონენტო სისტემის შემოღებაც, იქნება ერთ თვიანი-60 ლარი, 15 დღიანი-30 ლარი და ა.შ. აბონიმენტები. გამოყოფილი იქნებ უფასო სადგომები და სადგომები შ.შ.მ-პირებისათვის. კომისიის წევრებმა ინფორმაცია მიიღეს ცნობად.

გადაწყვიტეს:

კომისიის სხდომაზე მოსმენილი ინფორმაციები მიღებულ იქნას ცნობად.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი